№1-2 (9885) ◆ თებერვალი, 2022 წელი ◆ ფასი 50 თეთრი ◆ გაზეთი გამოდის 1933 წლის 3 მაისიდან

2022 დატვირთული წელი იქნება

სამხარეო ადმინისტრაციაში რეგიონული სამსახურების ხელმძღვანელებთან, მხარის მასშტაბით სხვადასხვა სფეროებში არსებული ვითარების გაცნობის მიზნით, გამართული მორიგი შეხვედრა სახელმწიფო რწმუნებულმა **პაპუნა მარგველიძემ** არსებული ეპიდვითარების განხილვით დაიწყო. ეპიდემიოლოგების მხრიდან მოისმინა რა დეტალური ინფორმაცია ვაქცინაციის პროცესის მიმდინარეობის შესახებ მან ვაქცინაციის გააქტიურების პარალელურად ყურადღება გაამახვილა იმ რეკომენდაციების დაცვის აუცილებლობაზე, რომლებიც ჯანდაცვის სამინისტროსა და დაავადებათა კონტროლის ცენტრის მხრიდან მომდინარეობს. შესაბამისად ეთხოვა ეპიდემიოლოგებს, რომ რეგიონის მასშტაბით კვლავაც აქტიურად გააგრძელონ მოსახლეობასთან ვაქცინაციის შესახებ საინფორმაციო შეხვედრები ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, ისაუბრონ აცრის მნიშვნელობაზე, ვაქცინაციის წამახალისებელ ღონისძიებებზე და განსაკუთრებულად აქტიურები იყვნენ პედაგოგებთან კომუნიკაციაში ამ კუთხით.

სამუშაო თათბირი რეგიონის მასშტაბით სხვადასხვა სფეროებში არსებული ვითარების გაცნობით გაგრძელდა. სამხარეო სამსახურების ხელმძღვანელებმა წარმოადგინეს ვრცელი ინფორმაციები საკურატორო სფეროებში არსებულ სიტუაციაზე, ყურადღება გამახვილდა მუნიციპალიტეტებში ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, საქართველოს პრემიერ მინისტრის მიერ ინიცირებული პროგრამის „განახლებული რეგიონები“ და „საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში მიმდინარე სამუშაოებზე. აღინიშნა, რომ მიმდინარე წელს რეგიონის მასშტაბით არაერთი მნიშვნელოვანი და მასშტაბური პროექტი განხორციელდება. პარალელურად გაგრძელდება ახალ პროექტებზე მუშაობა. ე.ი. 2022 წელი ყველა სფეროს მიხედვით იქნება დატვირთული, რაც შესაბამისად ნებისმიერი სამსახურიდან მოითხოვს საქმისადმი მაღალი პასუსისმგებლობით და პროფესიონალიზმით მიდგომას. განსაკუთრებით პროექტებთან სახელშეკრულებო თანხების ათვისების, წყალმომარაგების ქსელების, სათავე-ნაგებობების რეცხვით-სადეზინფექციო, ანარჩენების გატანის, დასაქმების, სასურსათო ობიექტებისა და ბაზრის ინსპექტირების კუთხით.

დადებითად იქნა შეფასებული სასწრაფო სამედიცინო დახმარების, სახანძრო-სამაშველო სამსახურების კოორდინირებული თანამშრომლობა, რისთვისაც მადლობა დაიმსახურეს.

შეხვედრას ესწრებოდნენ: სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე **გიორგი მაქარაშვილი,** მოადგილე **ლაშა ჭიჭინაძე**, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი **ზვიად მხეიძე**, საკრებულოს თავმჯდომარე **ასლან საგანელიძე**, რაჭა-ლეჩხუმ სვანეთის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელი **ქრისტინე კობახიძე**, ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები.

ქ. ამბროლაურში გაიმართა „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე **ირაკლი კობახიძის**, პარლამენტის თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილის**, საპარლამენტო უმრავლესობის წევრების **მაკა ბოჭორიშვილის, რიმა ბერაძის, ნინო წილოსანის, მაია მენაღარიშვილისა** და **ეკა სეფაშვილის** რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის ადგილობრივი ორგანიზაციების წევრ ქალებთან შეხვედრა, სადაც შეჯერდა პოზიციები ქალთა ორგანიზაციის დაფუძნების ვადებსა და დამფუძნებელი ყრილობის ჩატარებასთან დაკავშირებით.

შეხვედრას ესწრებოდნენ სახელმწიფო რწმუნებული რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის მხარეში **პარმენ მარგველიძე**, მუნიციპალიტეტების მერები და საკრებულოს თავმჯდომარეები.

ამით დასრულდა ქალთა ორგანიზაციის დაფუძნებასთან დაკავშირებული შეხვედრები რეგიონებში და დაიწყება მზადება ქალთა ორგანიზაციის ყრილობისთვის, რომელიც სავარაუდოდ, ერთი თვის შემდეგ ჩატარდება თბილისში.

საქართველოსა და ლიეტუვას შორის არსებული ხელშეკრულების საფუძველზე 2021–2022 წლებში ხორციელდება ერთობლივი პროექტი, რომელიც ემყარება 2021 წელს ლიეტუვას რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს დემოკრატიის განვითარების და თანამშრომლობის პროგრამის კონცეფციას – „რეგიონებში მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერა, შესაძლებლობების გამოყენების გზით“.

პროექტის მიზანია ორ ქვეყანას შორის შეიქმნას ისეთი ვირტუალური სავაჭრო ქსელი, რომელიც ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო ბიზნესში თანამშრომლობის განვითარებას, ახალი საქმიანი კონტაქტების მოძიებას და მეწარმეების ევროპულ ბაზარზე რეკლამირებას.

პროექტი იმუშავებს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეშიც და სახელმწიფო რწმუნებულის **პაპუნა მარგველიძის** საქმიანი შეხვედრაც გაიმართა პროექტის ხელმძღვანელ **რედა კნეიზევიჩიენესა** და ღვინის ექსპერტ **მარტინ მლოდეცკისთან**.

დაიწყო ახალი 2022 წელი და შესაბამისად მუნიციპალიტეტის მერიაში გრძელდება უკვე ტრადიციად ქცეული ის სამუშაო შეხვედრები, სადაც სტრუქტურული სამსახურების ხელმძღვანელებთან და მერის წარმომადგენლებთან ერთად მიმდინარეობს მსჯელობა და სხვადასხვა ღონისძიებების დასახვა, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის განვითარებას და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.იანვარში გამართულ სამუშაო შეხვედრებზე საუბარი შეეხო ისეთ საკითხებს როგორიცაა მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები, სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები, მიწების რეგისტრაციასთან დაკავშირებით არსებული ცვლილებები, თოვლისაგან სასოფლო გზების გაწმენდითი სამუშაოები და სხვა.

მერმა **ზვიად მხეიძემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის პრიორიტეტად კვლავ რჩება საგზაო ინფრასტრუქტურისა და წყალსადენი სისტემების მოწერიგება. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი სამუშაოები იგეგმება, რომელთა სწორად შერჩევა-წარმართვაში პასუხისმგებლობა ეკისრებათ ადგილებზე მერის წარმომადგენლებს.

„თქვენ ხართ მთავარი მაკავშირებელი რგოლი ადგილობრივ ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის, რაც თავისთავად დიდ პასუხისმგებლობას გულისხმობს. გთხოვთ, ყურადღება გაამახვილოთ თითოეული ოჯახის პრობლემაზე და ერთად ვიზრუნოთ მათ მოგვარებაზე. აუცილებელია ჩაერთოთ ყველა პროექტის განხორციელებაში, რათა მათი დასრულება-ჩაბარების შემდეგ არ მოხდეს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამოვლენა. პროექტებზე დახარჯული თანხა სოფლების პირველი რიგის საჭიროებებს მოხმარდება, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს თემებში არსებული პრობლემების აღმოფხვრას.“

ამ სიტყვებით, შეიძლება ითქვას, რომ მერის წარმომადგენლება სერიოზული დავალებებიც მიიღეს.

საქართველოს მთავრობა ევროკავშირის დაფინანსებით **„საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“** ფარგლებში, ქალაქ ამბროლაურში ახორციელებს მდ. კრიხულას სანაპიროს სარეაკრაციო ზონის მოწყობას, სადაც განთავსდება კაფე-ბარები, გასართობი სივრცეები. მახალდიანის ქუჩაზე მდინარის სანაპირო ბულვარით ტურისტებისთვისაც და ახალი ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისითაც საინტერესო იქნება. რაც მთავარია, გაჩნდება ახალი სამუშაო ადგილები, სადაც დასაქმდებიან ადგილობრივი კადრები. სამუშაოები უკვე სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, რადგან სახელშეკრულებო ვადა 2022 წლის ოქტომბერია.

მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებს რაჭა-ლეჩხუმ, ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული **პაპუნა მარგველიძე**, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერთან **ზვიად მხეიძესთან** ერთად ადგილზე გაეცნო.

პროექტის ჯამური ღირებულება 4 553 234 ლარს შეადგენს.

* * *

სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ მიღებული რესერთიფიცირების ახალი წესის საფუძველზე ქვეყანას ეკონომიკური დივიდენდების მომტანი ამბროლაურის აეროპორტიც შეემატა. ეს იმას ნიშნავს, რომ მან საეროდრომო სახელმძღვანელოები და მასთან დაკავშირებული სხვა პროცედურები სერტიფიცირების ახალი წესის შესაბამისობაში მოიყვანა და ყველა ექსპლოატაციისათვის ოპერირება მის მიერ ოპერირებად აეროპორტში არის უსაფრთხო.

სერთიფიკატი უვადოა, რაც ხელშემწყობი პირობაა როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ტურიზმის განვითარებისათვის არამარტო ჩვენს მუნიციპალიტეტში, არამედ მთელ რეგიონში.

ინფორმაციები

***

გაიმართა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მეორე მოწვევის საკრებულოს მე-4 რიგგარეშე სხდომა, რომელმაც მოიწონა საქართველოს მთავრობის 2019 წლის №628 დადგენილებით დამტკიცებული „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა“-ს ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მიერ დასაფინანსებლად წარსადგენი სა პროექტო იდეები.

სხდომამ ცვლილებები შეიტანა „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ 2017 წლის №01 დადგენილებაში და განიხილა მუნიციპალიტეტის მერის მიერ ინიცირებული საკითხები.

***

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მეორე მოწვევის საკრებულოს მე-5 მორიგმა სხდომამ მოისმინა და შეაფასა ა(ა)იპ-ების ამბროლაურის ერთიანი ადგილობრივი საზოგადოებრივი ჯანდაცვის, დასუფთავებისა და კეთილმოწყობის, წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრების, სკოლისგარეშე სახელოვნებო დაწესებულებების სამუსიკო და სამხატვრო სკოლების, სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების, სასპორტო სკოლის, ჭიდაობის კლუბის „ფალავანი“, საცურაო აუზის დირექტორების ანგარიშები 2021 წელში გაწეული საქმიანობის შესახებ და დაამტკიცა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის პროფესიულ საჯარო მოხელეთა 2022 წლის სამუშაო გეგმა. სხდომამ ცვლილება შეიტანა საკრებულოს 2021 წლის №24 დადგენილებაში და მუნიციპალიტეტის მერის მიერ ინიცირებულ საკითხებზე მიიღო შესაბამისი განკარგულებები.

***

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მეორე მოწვევის საკრებულოს მე-6 რიგგარეშე სხდომამ ცნობად მიიღო საკრებულოს სოციალურ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიების თავმჯდომარეების უფლებამოსილებების შეწყვეტა. მოიწონა საქართველოს მთავრობის 2019 წლის №628 დადგენილებით დამტკიცებული „2020–2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა“-ს ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მიერ წარდგენილი პროექტი. ცვლილებები შეიტანა მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის №24, №22, საკრებულოს 2017 წლის №22 დადგენილებებში და 2017 წლის №21 განკარგულებაში. სხდომამ ფარული კენჭისყრით აირჩია საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, აგრეთვე სოციალურ საკითხთა და ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიების თავმჯდომარეები. ფარული კენჭისყრით არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღეს დეპუტატებმა ნაციონალური პარტიიდან.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მეორე მოწვევის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულია **დავით გოგსაძე**.

***

23 თებერვალს გაიმართა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მეორე მოწვევის საკრებულოს მე-7 მორიგი სხდომა, რომელმაც მოისმინა და შეაფასა ა(ა)იპ–ების ამბროლაურის კულტურის ცენტრის, სახვითი ხელოვნებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმის, ტურისტული ცენტრის, შპს-ების ახალი ტრანსპორტის, ამბროლაურის სერვის ცენტრის დირექტორების ანგარიშები 2021 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ. აგრეთვე ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის შესყიდვების გეგმის შესრულების შესახებ.

საკრებულოს სხდომამ განსაზღვრა ამბროლაურის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი. ცვლილება შეიტანა მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის №24 და 2017 წლის №21 დადგენილებებში. იმსჯელა მუნიციპალიტეტის მერის ინიცირებულ და სხვადასხვა საკითხებზე. შესაბამისად დაამტკიცა წარმოდგენილი დადგენილებებისა და განკარგულებების პროექტები.

აიცერით, ნუ ეთამაშებით სიკვდილს

ქვეყანაში მძიმე ეპიდვითარება გრძელდება, რომელსაც გვერდი ჩვენი რეგიონისათვისაც არ აუვლია. 2022 წლის ორი თვეც არაა ჯერ გასული და მხარეში შემავალ მუნიციპალიტეტებში უკვე დაფიქსირებულია – 2672 ინფიცირების შემთხვევა. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ინფიცირებულია – 1129 პირი, გადაყვანილია – 12, იზოლაციაშია – 33, გარდაიცვალა – 2. 2021 წელს მხარეში დაფიქსირდა ინფიცირების 5962 შემთხვევა. საბედნიეროდ პროფილური სამსახურების მუშაკთა ძალისხმევით 5817 პაციენტი გამოჯანმრთელდა, მაგრამ 89 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. მათ შორის ამბროლაურის მუნიციპალიტეტში 39. რაც არასახარბიელო დემოგრაფიული ვითარების გამო, იმ ადამიანებთან ერთად, რომლებიც სხვადასხვა ქრონიკული დაავადებების მიზეზით გარდაიცვალნენ, მხარისათვის სერიოზული დანაკლისია. ამდენად არც ახლანდელი და არც შარშანდელი მონაცემები ნამდვილად არ იძლევა დამშვიდების უფლებას.

არსებული ვითარებიდან გამომდინარე გასაკვირია იმ მოქალაქეთა პოზიცია, რომლებიც ვაქცინაციას შეგნებულად არიდებენ თავს. არადა აცრის აუცილებლობაზე საუბარს სისტემატური ხასიათი აქვს მოსახლეობასთან საინფორმაციო შეხვედრებზე და იმ სოციალურ პროგრამებსა თუ წამახალისებელ ღონიძიებებზე, რასაც მთავრობა ახორციელებს ისევ და ისევ ჩვენი სიცოცხლის გადარჩენისათვის.

შარშან პირველი და მეორე დოზით რეგიონში ვაქცინირებული იყო 10980 პირი, ხოლო ბუსტერ დოზით 1809. აქედან ჩვენს მუნიციპალიტეტში ორმაგი დოზით აცრილი იყო 4255, ბუსტერ დოზა გაკეთებული ჰქონდა 806. მართალია, ქვეყნის სხვა რეგიონებს შორის ამ მონაცემებით უკეთესი მდგომარეობა გვაქვს მოსახლეობის რაოდენობასთან შეფარდებით, მაგრამ მიმდინარე წლის განვლილი პერიოდის შედეგები დამაიმედებელი არაა.

განსაკუთრებულად მაღალი მაჩვენებელი ამბროლაურის მუნიციპალიტეტში – 67, დაფიქსირდა 8 თებერვალს.

ძვირფასო თანაკუთხელებო! ხედავთ რომ მძვინვარებს ეპიდემია. დაფიქრდით რას აკეთებთ, რატომ ეთამაშებით სიკვდილს? გაუფრთხილდით სიცოცხლეს, ის ხომ ძვირფასია და მხოლოდ ერთხელ გვეძლევა. თუ მაინცდამაინც საკუთარი თავი არ გიყვართ სხვას რას ერჩით? ნუთუ ვერ გრძნობთ, რომ ვნებთ გვერდითმყოფთ. არ გვინდა დავიჯეროთ, რომ რომელიმე ამბროლაურელი შეგნებულად არიდებს თავს აცრას და აზიანებს სხვას. ნუ ეთამაშებით სიკვდილს. აიცერით. თუ შეგხვდებათ, რისგანაც არავინაა დაზღვეული, ადვილად გადაიტანთ. ამ სიტყვების სისწორეში დარწმუნდებით თუ გამოკითხავთ მათ ვინც გადაურჩა ამ ტალღას.

აიცერით, ატარეთ ნიღაბი, მოერიდეთ ხალხმრავალ ადგილებს. გვესმის ძნელია არ მიხვიდე სამძიმარზე, დაკრძალვაზე, მაგრამ ჭირისუფალიც ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობით უნდა იქცეოდეს.

ღმერთმა გვიმრავლოს ქორწილები, ძეობები, მრავალ დაბადების დღეებს დაგასწროთ უფალმა, მაგრამ ხომ ვიცით ის ოჯახები საიდანაც მასიურად იწყო ეპიდემიამ გავრცელება ჩვენს მუნიციპალიტეტში და რომელთა დასახელებისაგან შეგნებულად ვიკავებთ ამჯერად თავს. შეგახსენებთ, ეს აუცრელთა ეპიდემიაა და მას ადვილად უმკლავდებიან აცრილები. **აიცერით, აიცერით, ნუ ეთამაშებით სიკვდილს**.

მოსახლეობასთან შეხვედრები დაიწყო

წლებია ამბროლაურის მუნიციპალიტეტში **„სოფლის მხარდამჭერი პროგრამა,“** კარგად მუშაობს. იგი ხელს უწყობს მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდას, როგორც მათივე სოფლისათვის მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარებაში, ისე თემის პრიორიტეტებისა და სამომავლო განვითარების მიმართულებით. ამიტომ მას მოსახლეობის უმრავლესობა გამართლებულ პროგრამადაც აფასებს, რადგან სოფლების მიხედვით თვითონვე – ადგილობრივი მაცხოვრებლები – საერთო კრებებზე ახდენენ იმ პრიორიტეტების შერჩევას, რომელთა განხორციელებით გადაიჭრება ის პრობლემა, რომელიც თოთქოს უმნიშვნელოა, მაგრამ სოფლისათვის ძალზე საჭირო.

შარშან მუნიციპალიტეტის 69 სოფელში 70-ზე მეტი მცირე პროექტი განხორციელდა, რაზედაც დაიხარჯა 800 ათასამდე ლარი. აქედან სპეციალურ ტრანსფერზე კრიტერიუმებიდან გამომდინარე გარკვეული თანხა დამატებული იყო ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

სულ მალე გაზაფხული ძალაში შევა და პროექტების განხორციელებაც დაიწყება,რასაც წინ უსწრებს სოფლების მიხედვით, დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა შეხვედრები მოსახლეობასთან. საერთო კრებებზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტები შეირჩევა ხმათა უმრავლესობით. სოფლების მიხედვით გრაფიკი შედგენილია და 25 თებერვლიდან შეხვედრებიც დაწყებული. მთავარია, მოსახლეობამ კონსულტაციების გზით სწორად შეარჩიოს შეჯერებულ-შეთანხმებული მცირე პროექტები და პასუხისმგებლობაც აიღონ მათი სახელშეკრულებლო პირობების დაცვით განხორციელებაზე.

***

იგრძნობა, რომ მუნიციპალიტეტისათვის 2022 წელი მართლაც დატვირთული იქნება მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტებით. ამაზე მიუთითებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მიუხედავად ჯერ კიდევ არახელსაყრელი ამინდებისა, ქ. ამბროლაურში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ბრატისლავა რაჩის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც შარშან დაიწყო და წელს მთავრდება.

ღირს დავფიქრდეთ, ერს მოვავაღი სჭირდება

მართალია გვარის, მოდგმის გაგრძელების მოთხოვნილება ადამიანის თანდაყოლილი თვისებაა, მაგრამ ქართველებისათვის გამრავლება, მტრის უამრავი შემოსევების მიმართ, მაინც თავისებური რეაქცია იყო. ქართველი ქალი წარმატებით ასრულებდა თავის უმაღლეს დანიშნულებას – დედობას, რამაც ცნობილ ფრანგ პედიატრს ა. მარფანს, რომელიც შეშფოთებული იყო თავის ქვეყანაში შობადობის შემცირებით, შემდეგი სიტყვები ათქმევინა: **„საქართველოს ასულნი მრავალშვილიანი არიან. ბავშვს კვებავენ საკუთარი რძით და ამიტომაც ინარჩუნებენ ხორციელ და სულიერ სილამაზეს“**.

დასანანია, რომ დღეს ბევრისათვის ნორმად იქცა ერთშვილიანი ოჯახი. არადა, ბავშვს გვერდით ტოლები უნდა ჰყავდეს. ზოგიერთ ახალგაზრდას აღარ ხიბლავს ოჯახური იდილია და ამით უარს ამბობს ცოცხალი არსებისათვის დამახასიათებელ უნივერსალურ კანონზე – გამრავლებაზე. წინა პლანზე მათთვის წამოიწია პირველადმა ფასეულობებმა: პრესტიჟი, თვითკმაყოფილება, ნივთების გაფეტიშება, წარმატება... ხოლო დედობა და მამობა მათთვის მეორეულია.

შედეგი? ძალზე შემაშფოთებელი და საგანგაშო. ერი არ მრავლდება. დემოგრაფების გამოთვლით, რომ არ გადავშენდეთ, ყოველ 1000 მოსახლეზე წლიური მატება 7-10 კაცს მაინც უნდა შეადგენდეს. სამწუხაროდ ქვეყნის იმ რეგიონიდან, სადაც ამ მხრივ მძიმე ვითარებაა, რაჭა პირველ ადგილზეა, სადაც ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული შობადობას გარდაცვალება სჭარბობს.

მაგალითი პირველი: 1987 წელს, მაშინ ამბროლაურის რაიონში დაიბადა – 175 ბავშვი და გარდაიცვალა – 398 ადამიანი. ე.ი. შობადობა რაიონში ყოველ ათას კაცზე 9 შეადგენდა, რესპუბლიკის საშუალო მაჩვენებელი შესაბამისად 11,8 კაცით მეტი იყო რესპუბლიკის საშუალოზე.

2021 წელს მუნიციპალიტეტში დაიბადა 95 ბავშვი, გარდაიცვალა – 342 ადამიანი.

მაგალითი მეორე: 1987-88 სასწავლო წელს 34 სკოლაში (10 დაწყებითი, არასრული საშუალო – 12 და საშუალო – 12) სწავლობდა 1992 მოსწავლე. 12 საბავშვო ბაღსა და ბაგაში იყო 436 აღსაზრდელი.

2021-2022 სასწავლო წელი, მუნიციპალიტეტის 12 საჯარო სკოლაში, დაიწყო 1000 მოსწავლით. აქედან, პირველ კლასში შევიდა – 71. 14 საბავშვო ბაღში იყო – 338 აღსაზრდელი.

ვფიქრობთ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება ეს ინფორმაციაც. მიუხედავად მიგრაციის შეუქცევადი პროცესებისა, მაშინ რაიონის მოსახლეობა 22773 შეადგენდა და მათგან პენსიონერი იყო – 6370.

2021 წლის მონაცემებით, მუნიციპალიტეტში ცხოვრობს – 13589 ადამიანი, მათ შორის ქალია – 6877, მამაკაცი – 6712. პენსიონერია – 10 000-ზე მეტი.

შემოთავაზებული მცირე მაგალითებითაც ნათლად სჩანს თუ როგორია მუნიციპალიტეტში დემოგრაფიული სიტუაცია, საზოგადოების დაბერების რეალობა სახეზეა. არა და ათასზე მეტი ადამიანი დასაქორწინებელია. დასანანია, რომ მათი უმრავლესობა ბუნებრივ ნამატზე – შთამომავლობაზე არ ფიქრობს. მიზეზი უქონლობა ნამდვილად არაა. მიზეზი, მოკლედ რომ ვთქვათ, უპასუხისმგებლობაა ერის წინაშე. მართლა არ ჰქონდათ ადრე ოჯახებს ცხოვრების საუკეთესო პირობები, ლუკმა-პურიც ენატრებოდათ, მაგრამ შთამომავლის ყოლაზე მუდამ ფიქრობდნენ და ერთმანეთის სიყვარულით, თხილის გულის გაყოფის პრინციპით, ზრდიდნენ შვილებს. შესაბამისად მათი სახით შემდგომში მამულსაც ჰყავდა უფრო მეტი ჯარისკაცი. ჯარისკაცობა მარტო სამხედრო სამსახურში ყოფნა არ არის, ჯარისკაცი ხარ მაშინაც, როცა შენი სიმარტოვით სოფელი სუნთქავს და მაშინაც როცა მამა-პაპისეულ ფუძეს ნარეკალს არ აჭმევინებ. კიდევ უფრო საპატივცემულო ჯარისკაცი ხარ მაშინ და უფრო ამაყი, როცა შენს ფუძეზე ბავშვის ხმა ისმის.

2021 წელს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში 95 ბავშვის დაბადებით გავიხარეთ.

განსაკუთრებულად გამორჩეული მადლობა იმ 119 ოჯახს, რომლებიც მუნიციპალიტეტის მერიას მრავალშვილიანთა სიაში ჰყავს შეყვანილი.

ბედნიერებაა, რომ ეს ქალბატონები „ნივთების რაკურსით“ არ იყურებიან და თვითმიზნურ ღონისძიებებზე მეტად უპირატესობას ოჯახის შექმნას ანიჭებენ და ამით მაგალითს აძლევენ ადამიანებს იმისას, რომ ერს მომავალი უნდა მისცენ.

არ გვინდა ვიფიქროთ, რომ ჩვენებურ გოგონებს დედობრივი ინსტინქტი მოუდუნდათ. ზემოთ ავღნიშნეთ, დედობა ბედნიერებაა, მოვალეობაა, პასუხისმგებლობაა კუთხის, ერის წინაშე. მთის კანონი მხარში გიდგათ, სახელმწიფო სხვა მხრივაც გეხმარებათ, ადგილობრივი თვითმმართველობაც გეხიდებათ სოციალური პროგრამებით. გაგვახარეთ ოჯახების შექმნით, ახალშობილთა სიმრავლით.

შარშან 75 წყვილმა იქორწინა, ღმერთმა დალოცოთ, მაგრამ ძალზე ცოტაა, გვინდა ბევრნი ვიყოთ, ბავშვების სიმრავლე იყოს სოფლებში. ასტროლოგების განმარტებით 2022 წყლის სტიქიის ლურჯი ვეფხვის წელიწადი ახალი შესაძლებლობებისა და სიახლეების წელი იქნებაო, რაშიც მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად დემოგრაფიული სიტუაციის სასიკეთოდ შეცვლაც იგულისხმება. ახალგაზრდებო, ღირს დაფიქრდეთ ოჯახების შექმნაზე. ეს თქვენი დანიშნულება-მოვალეობასთან ერთად ვალდებულებაა ერის წინაშე და ...ხორციელთან ერთად სულიერი სილამაზეც.

დ. დარგაიძე

საბჭო აგრძელებს ინტეგრირების მიზნით მუშაობას

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრირების მიზნით ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიაში მნიშვნელოვან საქმიანობას ეწევა „შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო“, რომელმაც მორიგ სხდომაზე მოისმინა ინფორმაციები „შშმ ბავშვთა დღის ცენტრისა“ და მრავალფუნქციური სარეაბილიტაციო ცენტრის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით.

ყურადღება გაამახვილა შშმ პირთა უფლებების დაცვის 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად აღნიშნულ პირთა ხელშეწყობის მიმართულებით მუნიციპალიტეტში მოქმედ იმ სოციალურ პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე რომლებითაც გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ 0-დან 18-წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირზე/ოჯახზე ერთჯერადი ფინანსური დახმარების – 300 ლარის ოდენობით გაცემა.

ფინანსური დახმარება 200 ლარის ოდენობით გაიცემა აგრეთვე ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, მუდმივად მცხოვრებისა და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირის ოჯახზე, რომელიც ავადობიდან გამომდინარე ვერ იყენებს ზედა და ქვედა კიდურებს და საჭიროებს მომვლელს.

ყოველთვიური დახმარება 100 (ასი) ლარის ოდენობით გაიცემა პირზე, რომელიც ავადობიდან გამომდინარე ვერ იყენებს ქვედა კიდურებს და ვერ ახერხებს გადაადგილებას, საჭიროებს მომვლელს.

ასევე ყოველთვიური დახმარება 100 (ასი) ლარის ოდენობით გაიცემა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ, მუდმივად მცხოვრებისა და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსების მქონე პირზე, რომელიც ავადობიდან გამომდინარე არის უსინათლო და აქვს ორივე თვალის სრული ან პრაქტიკული სიბრმავე და საჭიროებს მომვლელს.

იქნებ გავითვალისწინოთ

მახრს ვუჭერთ და ვიწონებთ იმ სოციალურ პროგრამებს ქვეპროგრამებით რასაც ადგილობრივი თვითმმართველობა ახორციელებს მოსახლეობის შეხიდების მიზნით მუნიციპალიტეტში. ვიცით წელსაც გრძელდება და მერიის შესაბამისი სამსახურები თუ განყოფილებები ობიექტურობის პრინციპებს არ გადაუხვევენ. მაგრამ ამჯერად გაზეთის საშუალებით გვინდა „კულტურული ღონისძიებების „პროგრამის ფარგლებში „საპატიო წოდებების მინიჭების ქვეპროგრამასთან **„მუნიციპალიტეტზე უანგარო მზრუნველი“** დაკავშირებით ჩვენი მოსაზრება გავახმოვანოთ.

არავინ იფიქროს, რომ ვისაც მიენიჭა არ ეკუთვნოდათ. პირიქით, შეიძლება მეტსაც იმსახურებდნენ, მაგრამ ამ შემთხვევაში ქალაქის ინტერესებიდან გამომდინარე ვთავაზობთ მერიას ჩვენს წინადადებას და თუ გაითვალისწინებენ ამისათვის წინასწარ ვუხდით მადლობას.

წინადადება ასეთია: უანგარო მზრუნველის წოდების მინიჭებისას შეირჩეს ისეთი მოქალაქე,რომელიც საკუთარი მოვლილი კარმიდამოს გარეთ, ანგარების გარეშე, ნერგსაც ახარებს, ყვავილსაც რგავს და იმ ქუჩასაც ასუფთავებს, რომელიც დასუფთავების ცენტრს დასუფთავების ნუსხაში არა აქვს შეტანილი. აი, ეს იქნება მოხალისეობის წახალისებაც და დაფასება-სტიმულირებაც.

ქალაქის გულშემატკივრები

P.S სხვათაშორის პროგრამის დევიზი „ჩემი პასუხისმგებლობაა არა მხოლოდ ის, რასაც ვაკეთებ, არამედ ისიც, რომ შემეძლო და არ გავაკეთე“, კარგია, მაგრამ ყველა ამბროლაურელი აცნობიერებს კი მის არსს?

იცოდით?

იცით ვინ იყო საქართველოში სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ორგანიზაციის შექმნის იდეის ავტორი და სულის ჩამდგმელი? პეტერბურგში სამედიცინო განათლება მიღებული, ამბროლაურის რაიონის სოფელ ღვარდიაში დაბადებული **სპირიდონ ვაწაძე**.

ამბროლაურის რაიონმა, ბევრი კი არა უამრავი გამოჩენილი ადამიანი გაუზარდა არა მარტო ჩვენს ქვეყანას და გვიკვირს, როცა ქუჩების სახელდებაზეა ლაპარაკი, რატომ არავის ახსენდება ისინი.

მაგალითად, სასწრაფო დახმარება, 21-ე საუკუნეში და მითუმეტეს ამ ეპიდვითარებაში, ვის აღარ სჭირდება, 24 საათიან რეჟიმში მუშაობენ, რთულ პირობებთან ერთად ხშირად რთულ პაციენტებთანაც, მაგრამ შეიძლება ბევრმა არ იცის, რომ საქართველოში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეტლიანი ეკიპაჟი ექიმითა და სანიტარით პირველად გამოჩნდა თბილისში 1911 წლის 24 ივლისს და სადგური (ასე ერქვა) განთავსდა მაშინ ჟუკოვის ქუჩის №4-ში მდებარე სახლის 2 ოთახში.

1923 წელს სადგურს ტელეფონისტის შტატი დაემატა, ხოლო 1924 წელს გაუქმდა ფაეტონი და შეძენილი იქნა პირველი ავტომობილი.

* * *

ქუჩის სახელდებასთან დაკავშირებით რანდენიმე ამბროლაურელის აზრიც გვინდა გაგაცნოთ. **ბაჩა**

მ/ქვაჩაძენა ბრეგვაძის სახელით ვამაყობთ რაჭველები, მაგრამ სანამ გარდაცვალებიდან ათეული წლები არ გავა თურმე ისე არ შეიძლება ქუჩაზე მისი სახელის მინიჭება. ნუ დაველოდებით. ბიუსტი დაიდგას ზურაბ ჯაფარიძის სახელობის საბავშვო ბიბლიოთეკის მიმდებარე სკვერში. სიმბოლურიც იქნება. ორივე ხომ სხვავიდან იყვნენ და რამდენადაც გადმოცემით ვიცით ორივეს იქვე მდებარე პირველი საჯარო სკოლა აქვთ დამთავრებული. გვერდით მთავარი ბიბლიოთეკაცაა და მოსწავლე ახალგაზრდობაც ამ ტერიტორიაზე უფრო ხშირად იმყოფებიან. ვფიქრობთ, მისაღები წინადადებაა.

იმსახურებს ბრეგვაძის სახელი მეტ ყურადღებას, სხვათაშორის ამას ბევრი ამბროლაურელი ამბობს. ჯერჯერობით ამბობენ. არადა სიტყვას საქმე უფრო ამშვენებს.

ნ გიორგობიანი,
ზ. კუბლაშვილი,
ქ. მოწონელიძე
ფ. სვანი
ა. ნეფარიძე

წარსულის გამოძახილი

მეორე მსოფლიო ომში, რომელიც ისტორიაში სამამულო ომის სახელითაცაა შესული, ყოფილმა საბჭოთა კავშირმა 20 მილიონი ადამიანი დაკარგა. მათ შორის 350 ათასზე მეტი საქართველოდან იყო და რომელთა უმრავლესობის ნეშტი რუსეთისა და ევროპის ქვეყნების საძმო საფლავებში განისვენებს, ნაწილი კი დღემდე უგზო-უკვლოდ დაკარგულთა სიაში ირიცხებიან.

მისასალმებელია, რომ 77 წლის შემდეგაც მოქმედებენ როგორც რუსეთის ფედერაციაში ისე ევროპის ქვეყნებში ისეთი ორგანიზაციები, რომლებიც შინმოუსვლელთა სახელებისა და საფლავების მოძიება-დადგენით არიან დაკავებული.

ერთ-ერთი ასეთი არასამთავრობო ოპგანიზაციაა **„საერთაშორისო ძებნის ასოციაცია“** („военная археология“), რომლის შინმოუსვლელთა კვალის მაძიებელი რაზმის “северный рубеж“ წევრებმა მიაკვლიეს 2021 წლის 24 ოქტომბერს ვიბორგის ოლქის ჩრდილოეთით საბჭოთა ჯარისკაცების უცნობ სამარხს. მედალიონებით ამოცნობილთა შორის 10 ქართველი აღმოჩნდა, რომლებიც 2021 წლის 24 ნოემბერს პატივით გადმოასვენეს პეტროვკას საძმო მემორიალზე. დადგენილია მათი დაღუპვის თარიღი 1941 წლის აგვისტო და ისიც, რომ ისინი არიან იმ ნაწილის მეომრები, რომლებიც



შინმოუსვლელი ბრუნება

იბრძოდნენ ფინეთში და ბლოკადის დროს ლადოგის იქეთ მოეტნენ. იმ 10 ქართველს შორისაა ბუგეულელი **შოთა ხაჭაპურაძე**, რომელიც 1939 წელს გაწვეულ იქნა სამხედრო სავალდებულო სამსახურში და იქ მოუსწრო ფინეთთან ომმა.

ამჟამად, 10-ვე ქართველის ნეშტი მოსკოვშია. მათგან ორის ახლობლები ვერ იქნენ მიკვლეული და დაიკრძალებიან საძმო საფლავზე, ხოლო დანარჩენების ნეშტები გაზაფხულზე გადმოსვენებული იქნება დარიალის ხეობაში მდებარე ერთ-ერთ ქართულ ეკლესიაში და მოხდება მათი გადაცემა ახლობლებზე. მთელ ამ პროცესში ინფორმირებული და ჩართული არის ქვეყნის ხელისუფლება და ადგილობრივი თვითმმართველობები. ქართველი მეომრების ვინაობის დაზუსტება, ნათესავების მოძიება-გადაცემის პროცესში დიდია საქართველოში მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციის **„ფონდი დაბრუნება“** წვლილი.

სოფელს კარგად ახსოვს შოთა და მისი და – **ანეტა ხაჭაპურაძე** – წიგნიერი ქალბატონი წლები, რომ მუშაობდა ბუგეულში ბიბლიოთეკარად და გამოირჩეოდა აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრებით, როგორც აგიტატორი, გაზეთის სპეციალური კორესპოდენტი. საახლობლოსა თუ სამეზობლოს ჭირ-ვარამის გამზიარებელი. ქალბატონი, რომელიც სიცოცხლის ბოლო წუთებამდე ელოდა ძმის დაბრუნებას და ყოველდღე ეფერებოდა ფოსტის კედელზე იმ ქვას, რომელზედაც შოთამ, სხვა თანატოლებთან ერთად, ჯარში წასვლის წინ ამოკაწრა თავისი სახელი და გვარი (შენობა დღესაც შემონახულია სოფლის ცენტრში).

საბედნიეროდ, შოთას ჰყავს დიდი საახლობლო, დისშვილებითა და მათი მონაგრის სახით, მისი სურათი დღესაც ჰკიდია კედელზე ბაბუისეულ 110 წლის ხის სახლში ბარეულში, რომელსაც ელოლიავება და უვლის მისი მეორე დის შვილი **სესე გვენცაძე**. შოთა დაიკრძალება დის – ანეტას გვერდით ბუგეულში. 83 წლის შემდეგ და-ძმა ისევ შეხვდება ერთმანეთს და დაივანებენ მარადიულ სასუფეველში.

დღევანდელი თაობა უფროს თაობას საყვედურობს ამ ომში მონაწილეობას, არა და მაშინ ის სამშობლოდ ითვლებოდა და მის დასაცავად იბრძოდნენ.

არ შეიძლება წარსულის დავიწყება, ისტორიიდან ფურცლებს განვითარებული ქვეყნები არ ხევენ.

ფოტოზე აღბეჭდილია შოთა ხაჭაპურაძისა და ვარლამ ფალავას ხსოვნისადმი პატივის მიგების ცერემონიალი. მათი სახელები კი სხვა მეომრებთან ერთად ამოიტვიფრება მარმარილოს იმ კვარცხლბეკზე, რომელიც აღმართულია პეტროვკას სამხედრო მემორიალის ტერიტორიაზე და არასოდეს აკლია ცოცხალი ყვავილები.

ხომ არ გეცნობათ? როგორც ავღნიშნეთ დაღუპულ მეომართა სახელების უკვდავყოფის კუთხით დიდ მუშაობას ეწევა საქართველოში „ფონდი დაბრუნება“, რომელმაც გაერთიანება „არხეოლოგია ისტორიი“-დან მიიღო სია დაზუსტებისათვის იმ ქართველი მეომრებისა, რომლებიც დაკრძალული არიან ქ. ჩელიაბინსკში საძმო საფლავზე.

ქ. ჩელიაბინსკში 1941–1945 წლებში ყველა საავადმყოფო გადაკეთებული იყო სამხედრო ჰოსპიტალად, სადაც მკურნალობდნენ დაჭრილ მეომრებს. სამწუხაროდ ყველას გადარჩენა ვერ ხერხდებოდა და იკრძალებოდნენ, იქვე საძმო საფლავებზე. ამ სიაშია ამბროლაურის რაიონის სოფელ ხოტევიდან **გრიგოლ გოცირიძე** (გოდირიძე), რომელიც გარდაიცვალა ჭრილობებისაგან 1944 წლის 31 მაისს.

ხომ არ გეცნობათ? გთხოვთ შემოგვეხმიანოთ.

ჩვენი ერთად შეხვედრით!

გაზეთის პერიოდულობიდან გამომდინარე ბოლო წლებში მხოლოდ მაჟორიტარი დეპუტატის, მხარის რწმუნებულ- გუბერნატორის და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირების წინა საახალწლო მოლოცვების გამოქვეყნებით შემოვიფარგლებოდით. არადა საინტერესო, მრავალფეროვანი ღონისძიებები იმართებოდა, რა თქმა უნდა, ეპიდვითარებამ მათ მოკრძალებული სახე შესძინა, მაგრამ იმართებოდა უკეთესი მომავლის რწმენითა და იმედით.

გავაცილეთ ერთ-ერთი არეულ წელთაგანად მიჩნეული 2021 წელი და მთელ ქვეყნასთან ერთად, მუნიციპალიტეტის მოსახლეობამ გამორჩეულად ამაღლებული განწყობით აღნიშნა 2022 წლის შემობრძანება.

ქვეყნის პრემიერ-მინისტრის ინიციატივით საახალწლო ზეიმი ყველა მუნიციპალიტეტში გაიმართა. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში საზეიმო დღეები ფაქტიურად 24 დეკემბერს დაიწყო მრავალფეროვანი და ეფექტური პროგრამით. 28 დეკემბერს მრავალჟამიერის ფონზე საზეიმო ვითარებაში აინთო ნაძვის ხე. მოსახლეობას სამხარეო და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელმა პირებმა მიულოცეს ახალი წელი, რომლის მოკლე შინაარსი შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: „ბედნიერება, დღეგრძელობა, გამრავლება, ხვავი და ბარაქა შემოვიდეს თქვენს ოჯახებში, დაგვემარცხებინოს ეპიდემია. სიკეთე და უფლის წყალობა არ მოგკლებოდეთ“.

საზეიმო დღეები შემდგომშიც გაგრძელდა, მაგრამ გამორჩეული დღე მაინც 29 დეკემბერი აღმოჩნდა. სპეციალურად შერჩეულ სივრცეში განთავსებული ხის სახლები საზოგადოებას საშობაო ბაზრობაზე იწვევდა. სხვადასხვა გასართობი სივრცეები ბავშვებს მასპინძლობდა, სადაც თოვლის ბაბუა მათ ტკბილეულითა და საჩუქრებით მასპინძლობდა. ფოტოგადაღებები, სტენდები, ინსტალაციები, ჯგუფი „ფორტე“, „რეზო და ბავშვები“... და ზოგადად, კოსტავასა და რუსთაველის ქუჩების გადაკვეთაზე, ღვთისმშობლის ხატის სახელობის ეკლესიასთან მიმდებარედ გამართული საახალწლო დღესასწაული სიმბოლურ დატვირთვასაც იძენდა, რადგან ამ მონაკვეთს მორწმუნეც და ათეისტიც ყოველთვის მოკრძალებით გადის.

ზეიმი გალაკონცერტითა და ფეიერვერკით არ დასრულებულა. საახალწლო განწყობა კიდევ უფრო აამაღლა თოვლის მოსვლამ, რომელმაც მართალია თეთრ საბურველში გახვეულ მუნიციპალიტეტის მთიან სოფლებში კი შექმნა გადაადგილების პრობლემები, მაგრამ მალევე მოგვარდა და ელენერგიის დროებით ავარიული გამორთვებიც ოპერატიულად აღმოიფხვრა, არ შეფერხებულა ტრანსპორტის შიდასახელმწიფოებრივ გზებზე მოძრაობაც. ჩვენი წინაპრები ახალწელს თოვლის მოსვლას ბარაქიან, მოსავლიან წელთან აიგივებდნენ, კარგ ნიშნად მიიჩნევდნენ, ჰოდა, ჩვენც იანვრის თოვლი არქივისთვის შემოვინახეთ ამ ფოტოებით, თუმცა თოვლმა თავი თებერვალშიც არ მოგვაწყინა.

ახალ წელს ყველა ზეიმობს საახალწლო სუფრასთან, სიკეთეს უსურვებენ ერთმანეთს, მაგრამ არის სამსახურები, რომელთა თანამშრომლები 24 საათიანი რეჟიმით საქმიანობენ და ახლობლებთან ერთად, ოჯახებში ვერ აღნიშნავენ ახალ წელს. მაგალითად, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, პოლიცია, სახანძრო, საავადმყოფო, სასწრაფო დახმარება...

არავის დავიწყნია ისინი. მხარის რწმუნებული-გუბერნატორი **პაპუნა მარგველიძე,** საკრებულოს თავმჯდომარე **ასლან საგანელიძე,** მერი **ზვიად მხეიძე** და სხვა ხელმძღვანელი პირები მათ ადგილებზე ეწვივნენ და მილოცვასთან ერთად მადლობაც გადაუხადეს გაწეული შრომისა და სამსახურეობრივი მოვალეობის პირნათლად შესრულებისათვის, განსაკუთრებით მძიმე ეპიდვითარების პერიოდში გაწეული საქმიანობისათვის. სტუმრობების ამსახველი ფოტოებიც საგაზეთო არქივისთვისაა გათვლილი.

სამხარეო და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ახალი წელი მიულოცეს და სასაჩუქრე პაკეტებიც გადასცეს სოციალურად დაუცველ და მარჩენალდაკარგულ ოჯახებს.

ახალი 2022 წელი, რა თქმა უნდა ძველი სტილით 14 იანვარსაც აღინიშნა. 14 იანვარი საქართველოს სახელმწიფოებრივი დროშის, ქართული თეატრის დღეცაა, ჰოდა მთელი იანვარი პლუს თებერვლის პირველ დღეებში (აღმოსავლური კალენდრით ბევრ ქვეყანაში ამ თვეში შემოდის ახალი წელი) დაუსრულებლად გაგრძელებული ლხინის სუფრები, სადღეგრძელოები და მილოცვები არ მოგკლებოდეთ ძვირფასო ამბროლაურელებო თქვენ და სრულიად საქართველოს ამ წელში.



სიკეთის კეთებას არაფერი სჯობს

ქალაქი ამბროლაური, მუნიციპალიტეტის გარდა, რეგიონული ცენტრის სტატუსის მატარებელიცაა. ბუნებრივია, აქ განთავსებულ სამხარეო ადმინისტრაციის რიგი სამსახურების ოფისებსაც, სხვადასხვა საჭიროებებიდან გამომდინარე, ლენტეხიდან, ცაგერიდან და ონიდან მოქალაქეები ხშირად სტუმრობენ. ცხადია, მსუბუქი ავტომობილების ფლობის ფუფუნება ყველას არ აქვს, გადაადგილება ძნელია და ძვირიც, მითუმეტეს გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ლენტეხიდან და ცაგერიდან. იდეა, რომ დანიშნულიყო მიკროავტობუსი, რათა მოქალაქეებს გაადვილებოდათ მგზავრობა, ეკუთვნის ქალბატონ ლეილა გურგუჩიანს, რომელსაც მოჰყვა მყისიერი მხარდაჭერა როგორც სამხარეო ისე მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებისაგან და ბოლო წლების ყოველ ორშაბათს სრულდება მარშრუტი **ლენტეხი-ამბროლაური,** ხოლო პარასკევობით **ცაგერი-ამბროლაური**. თავისთავად სარგებლობენ ამბროლაურელებიც. მათ შორის ის მოსწავლეებიც, რომლებსაც მართალია ადგილობრივი თვითმმართველობიდან აქვთ შეღავათები სპორტის სხვადასხვა სახეობებში ვარჯიშისათვის, ცურვის, მუსიკალური თუ სახვითი ხელოვნების დაუფლებისათვის ცენტრამდე გადაადგილებისათვის ტრანსპორტით სარგებლობაზე, მაგრამ არის შემთხვევები არცთუ იშვიათად როცა ბავშვების გარკვეულ ნაწილს უწევთ ზემოთ აღნიშნული ტრანსპორტებითაც სარგებლობა.

სწორედ მათი მშობლების, რიგითი მოქალაქეების და გამოკვეთილად ერთერთი წიგნიერი ქალბატონის თხოვნით შედგა შეხვედრა ლენტეხი-ამბროლაურის მარშუტის მძღოლ **ბადრი ბენდელიანთან**, რომელიც 40 წელზე მეტია საჭესთან ზის. ტურბაზა, გაზის კანტორა, სასწრაფო, საავადმყოფო, თბილისის, ქუთაისისა და სხვა ქალაქების მარშრუტები. სად არ უმუშავნია, რა კატეგორიის ადამიანებთან არ ჰქონია საქმე, მაგრამ მომდურავი, აუგის მთქმელი არ ჰყავს. პირიქით, ყველა სიყვარულით ბუბას (სვანურად ბიძია) ეძახის და ეს თიკუნი მეგობარმა მიკროავტობუსზეც კი მიუწერა დიდი ასოებით BUBA.

როგორ შეძელი მეთქი, რომ ვკითხე, პასუხი დეპეშასავით მივიღე: – „ცხონებულმა მამაჩემმა – ჯიბილომ დამიტოვა ანდერძად: იცხოვრე ისე ხალხს უყვარდეო. მეც ვცხოვრობ და ვემსახურები ხალხს ისე, რომ მათ არ ვძულდე.

რადგან ავტოსადგურში ვიმყოფებოდით და ირგვლივაც ჩვენებურები სჭარბობდნენ, მეც ჩემი ჭკუით სწრაფად დავსვი კითხვა: – რამ გაგვყო, მაგრამ რაჭველებზე რას მეტყვი მეთქი, პასუხი წერილი გამოვიდა.

– ლენტეხის აღმასკომის თავმჯდომარეს დავით ტვილდიანს დავატარებდი. გაუბედურებული, ნაავარიები „კოლხოზნიკი“-ს შეკეთებას ვერ ავდიოდი. ხომ იცი ჩვენი სოფლების განფენილობა, მაშინდელი გზები, თან ხშირად თბილისშიც გვიწევდა ჩასვლა თათბირებზე. რამდენჯერმე შევბედე, გამოგვიცვალონ მეთქი, ჯერ ჩამონწერის ვადა არ გასვლიაო, მპასუხობდა. სანამ უფროსები მსჯელობდნენ, მომლოდინე მძღოლები ერთად ვირთობით თავს. ჩვენი „კოლხოზნიკი“ კი ამდენ გაწკრიალებულ მანქანებში თავისი „სილამაზით“ გამოირჩეოდა. ერთ მშვენიერ დღეს შემაგულიანეს ბიჭებმა, უფროსს თუ ერიდება, შენ შედი მინისტრთან, რას კარგავო. მეც მეტი რა მინდოდა. ჯარიდან ახალი ჩამოსული ვიყავი, თმაქოჩორა ბიჭი, ქვეყანა ჩემი მეგონა და შევედი. მდივანმა გოგონამ, მინისტრი არ არის და თუ გადაუდებელი საქმე გაქვთ მოადგილე მიგიღებთო. მიმიღო, მომისმინა, ისე შინაურულად მესაუბრა, ვიფიქრე ნამდვილად სვანია, მორიდებულად ვკითხე წარმოშობით რომელი სოფლიდან ხართ მეთქი. მიმიხვდა, რამ გაგვყო სვანები და რაჭველები, რაჭველი ვარო. იმ დღიდან მოყოლებული ძალიან მიყვარს თქვენებურები, მის მოდგმას კი ვლოცავ და ვლოცავ. ისე მართლა რამ გაგვყო (სამწუხაროდ მინისტრის მოადგილის გვარი ველარ გაიხსენა, შეწუხებულმა ჩაილაპარაკა – როგორ მინდა ცოცხალი და დღეგრძელი იყოსო).

როგორც ზემოთ ავღნიშნე ჩვენი შეხვედრის მთავარი მიზეზი ბავშვებთან მისი გამორჩეული ურთიერთობა იყო და ბუნებრივია, მთავარ თემას დავუბრუნდით.

– ბავშვები მართლა ძალიან მიყვარს. მათ შემოევლოთ ჩემი სიცოცხლე. არცერთ მშობელს არ ვაყენებ შეურაცხყოფას, არც ის ვიცი თეთრები, ჩემთვის რომ უნდა გადაეხადათ თუ ეყოფათ ღვეზელისა და ფუნთუშის საყიდლად, მაგრამ მირჩევნია მათ სასუსნავი იყიდონ, ვიდრე მე ჩავიდო ჯიბეში. თუმცა ფული ძალიან მჭირდება, რადგან ერთი სახლი წყალმა წამართვა, მეორე კი ავაშენე, მაგრამ ვერ მოვათავე და საცხოვრებლად ჯერ კიდევ ვერ შევსულვარ შიგნით. დედა ადრე გარდამეცვალა, ბიცოლამ გამზარდა. მართალია, არაფერი მაკლდა, მაგრამ ბავშვი მეც ხომ ვიყავი. ახლა ბაბუა ვარ, შვილიშვილები სიცოცხლეს მირჩევნია, ამიტომ, შევსთხოვ უფალს ისეთი დღეები გაუთენე ყველა ბავშვს, რომ მშიერმა არ დაიძინოს, მშიერი როგორ ისწავლის? ღმერთო ისე გააძლიერე ჩემი ქვეყანა, რომ არცერთ ბავშვს პრობლემა არ ჰქონდეს. მოკლეა წუთისოფელი, სიკეთის კეთებას არაფერი სჯობია. მე ამ დევიზით ვცხოვრობ და სხვასაც მოვუწოდებ.

ვაღიარებ, არ მოველოდი ისეთი რესპოდენტი აღმოჩნდა. გულღია, კაცთმოყვარე, ქვეყანაზე შეყვარებული, იუმორით გაჯერებული, ბევრისაგან განსხვავებით გამართული ქართულით მოსაუბრე და... კარგად ჩახედული პოლიტიკაშიც კი. ერთი შეხედვით ლაღი და ბედნიერი, მაგრამ შევატყვე დიდი ტკივილის მატარებელიც, რომელზედაც კითხვის დასმა ვერ გავუბედე. სიკეთის კეთებას მართლაც არაფერი სჯობია ბატონო ბადრი.

იარეთ კიდევ მრავალი წელი ჯანმრთელმა, მშვიდობიანად, არ მოგკლებოდეთ თქვენ მგზავრები და თქვენისთანა გულშემატკივრები ქვეყანას.

რაც შეეხება თქვენს წინადადებას, რომ კვირაში მარშუტზე ლენტეხი-ცაგერი-ორბელი-ალპანა-ამბროლაური კვირაში ერთი დღის დამატება ხალხს წაადგებაო, ვახმოვანებთ და შესაბამის ორგანოებამდეც მივიტანთ.

სხვათაშორის, მოქალაქეებმა იციან, რომ აღნიშნულ მარშუტებზე მგზავრობის ღირებულება, სამხარეო და ადგილობრივი ხელისუფლების დამსახურებით, მიზერულია – 5 ლარი, რასაც მზგავრები ძალზე აფასებენ. გულახდილები იყვნენ ჩვენთან საუბარში.

– 150 ლარზე ნაკლებად არავინ ჩამოგვიყვანს ამბროლაურამდე, ისიც ცაგერიდან. თუ არადა სამადლოდ შეიძლება ვიღაცამ ჩამოგიყვანოს ალპანამდე. იქ უნდა ელოდო ქუთაისიდან მომავალ ტრანსპორტს. ერთი სიტყვით სულ პატარა საქმეზე შეიძლება მთელი დღე დაკარგო და ვერც მოასწრო. ახლა 4 საათამდე გვაქვს დრო, რაც ნამდვილად დიდი ხელშეწყობაა ჩვენთვის. და ამით უმრავლესობის სათქმელიც ითქვა.

...ჩვენთვისაც სასიამოვნოა კარგ საქმეებზე წერა.

დ. დეისაძე

სპორტი

ქალაქ რუსთავში, 23 წლამდე ჭაბუკთა შორის, თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს პირველობაზე გამართულ ჩემპიონატზე ამბროლაურის ჭიდაობის კლუბის „ფალავანი“ აღზრდილმა გიორგი ელბაქიძემ 70 კილოგრამით წონით კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავა, ხოლო გიორგი გოგრიჭიანმა 74 კილოგრამითწონით კატეგორიაში მესამე ადგილი.

გულშემატკივართა სახელით ვულოცავთ მათ. სტარტი კარგია. გვჯერა, მთელი 2022 წელი ამბროლაურელი სპორტსმენებისათვის მედლებით ბარაქიანი აღმოჩნდება და ბევრჯერ გაგვახარებენ თავიანთი გამარჯვებებით.

ანდერძი სონეტი — შედევრი

„მშვიდობას ვეტყვი მალე ქართულ ზეცის საფირონს
და მცირე ტალღად შევერწყმები ზღვას უნაპიროს,
ქარს იმ ქვეყნიურს დავახვედრებ მალე წინ აფრას,
დიდებულია! გარდავიქცევი უცებ ნაპირად.
და თუმცა ჩემი გამგზავრება ჰგავდა წვალებას,
სიკვდილი მაინც არ დაარქვათ გარდაცვალებას.
მე წავალ, რადგან დრო აღარ მაქვს უკვე არჩევნის,
მე წავალ, მაგრამ სამუდამოდ თქვენთან დავრჩები.
მე გიმეგზურებთ, ცხოვრების გზას როცა გაჰყვებით,
მე დაგინახავთ, მაგრამ ვერ დაგენახებით,
მე არასოდეს არ ვიქნები თქვენთან მოდავე,
სამშობლო თქვენი თუ არასოდეს არ იცოტავეთ!
მაგრამ იცოდეთ, მე იმ დღიდან თქვენთან არა ვარ,
თუ სარბიელად საქართველო გეპატარავათ.
დამარცხებულნიც არასოდეს ჩანდეთ საბრალოდ,
ვინმეს სიგლახე კაცთა მოდგმას არ დააბრალოთ.
ტკბილი გექნებათ სიყმაწვილე, მერე სიბერეც
სხვათა მიღწევით სიხარული თუ გაიბევრეთ.“

მართალია რეზო თაბუკაშვილმა ეს სონეტი შვილიშვილებს ანდერძად მიუძღვნა, მაგრამ თანამედროვე ახალგაზრდობასაც გამოადგება სახელმძღვანელოდ.

ვალერიან ქემოკლიძის ხსოვნას



არიან ადამიანები, რომლებიც სიცოცხლეში ცხოვრებას გვილამაზებენ, ამ ქვეყნიდან წასვლით სიკვდილს გვიადვილებენ. მათ რიცხვშია ვალერიან ქემოკლიძე, რომელმაც თავისი კეთილსინდისიერებით, პატიოსნებით, პროფესიონალიზმით, საქმისა და ადამიანებისადმი ერთგულებით დატოვა მშობლიურ რაიონში კვალი, რასაც დრო ვერ წაშლის.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის წარჩინებულმა კურსდამთავრებულმა (სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროცესების მექანიზაციის სპეციალისტი) ინსტიტუტშივე სამუშაო საგზურით მივლინებულმა 1955 წელს მუშაობა დაიწყო ამბროლაურის მანქანა-ტრაქტორთა სადგურში და მისი უცვლელი დირექტორი იყო 1960 წლიდან მთელი 20 წელიწადი. შემდგომ გადაყვანილ იქნა ამბროლაურის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოში უფროს ინჟინერ-ინსპექტორის თანამდებობაზე, პარალელურად ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას ამბროლაურის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში.

1989 წლიდან 20 წელიწადი იყო შპს „ამბროლაურის ავტოგზა–10“-ის დიდი კოლექტივის წევრი. ერთი შეხედვით თითქოს რიგითი თანამშრომელი, მაგრამ დიდი იყო მისადმი თითოეული ჩვენთაგანის ნდობა და მოკრძალება. მან, მეუღლესთან – ლამარა ჯაფარიძესთან ერთად აღზარდა ოთხი შვილი და მათი ცხოვრების გზაც სწორად განსაზღვრა.

მრავალშვილიან ოჯახში დაბადებულ-აღზრდილი 90 წლის ასაკში აღესრულა მრავალრიცხოვანი მონაგარის გარემოცვაში, რომელთაც მის სამგლოვიარო პროცესიაზე რთული ეპიდვითარების გამო შეიძლება ბევრი ვერ შეუერთდა, მაგრამ ოჯახის წევრებისა და ახლობლების ტკივილი საზოგადოების დიდმა ნაწილმა გაითავისა.

ორმოცი დღე გავიდა. ბატონი ვალერიანი ვალმოხდილი უკვე მიეახლა თავის წინაპრებს და იმ დიდ სამეგობროს, რომელთა ერთადაც ქმნიდა ამბროლაურის ისტორიას და ტოვებდა კვალს,რომელსაც მომავალი თაობები ნამდვილად დააფასებენ.

ვუსამძიმრებთ ოჯახის წევრებს და ახლობლებს, დარწმუნებულნი ვართ, რომ იმქვეყნიურ სასუფეველში მისი სული მუდამ ნათელში იქნება.

შპს „ამბროლაურის ავტოგზა–10“-ის კოლექტივი

რედაქტორი
დალი
დარახველიძე

რედაქციის მისამართია:
ქ. ამბროლაური,
დავით აღმაშენებლის ქუჩა №24
ტელ: 593 60 40 67

„ამბროლაურის მოამბე“
რეგისტრირებულია ამბროლაურის
სასამართლოს მიერ.
რეგისტრაციის №15/5/ბ103

გაზეთი დაიბეჭდა
ბაკური კილაძის მიერ
ქუთაისი, წერეთლის ქ. №186.
ტელ: 0431 23 45 54

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს, ავტორი პასუხისმგებელია მასალის, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, შინაარსსა და სტილზე.